

ვაკანსიის № 48142

პოზიციის დასახელება	კომერციული ატაშე ამერიკის შეერთებულ შტატებში
კონკურსის ტიპი	სხვა
ორგანიზაცია	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
კატეგორია	სავაჭრო წარმომადგენლობა
განცხადების ბოლო ვადა	19.03.2018
თანამდებობრივი სარგო	შეთანხმებით
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	ამერიკის შეერთებული შტატები
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

კომერციული ატაშეების საქმიანობა ხელს შეუწყობს საგარეო ვაჭრობის საკითხებს. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ექსპორტის ხელშეწყობაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე, საერთაშორისო ტურისტების მოზიდვასა და საერთაშორისო ბიზნეს-ტენდენციების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გაცნობასა და საქართველოში დანერგვაზე. კომერციული ატაშე ხელს შეუწყობს ქართველი ექსპორტიორების და მათ მიერ ნაწარმოები პროდუქციის შეღწევას მიზნობრივ ბაზრებზე და კონტრაქტების მოპოვებას. კომერციული ატაშე ასევე პასუხისმგებელი იქნება შესაბამის ქვეყანაში პოტენციური ინვესტორებისთვის საქართველოში არსებული შესაძლებლობების გაცნობაზე და ახალი ინვესტორების მოზიდვაზე.

შერჩეული კანდიდატები შესაბამისი სპეციფიური გადამზადების შემდეგ მუშაობას შეუდგებიან 2018 წლის განმავლობაში. კომერციული ატაშე იქნება უფროს დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშნული პირი, რომელიც შედის დიპლომატიური წარმომადგენლობის შემადგენლობაში. კომერციული ატაშეს როტაციის ვადა არის 3 წელი. კომერციული ატაშეს ძირითადი ფუნქციები დეტალურად შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე (<http://www.economy.ge/>)

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	უმაღლესი განათლება
სამუშაო გამოცდილება	5 წელი

საკონკურსო თემატიკა

კანდიდატი უნდა ფლობდეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ადგილობრივი და ადგილსამყოფელი ქვეყნის/რეგიონის ეკონომიკური და კომერციული შესაძლებლობები; სავაჭრო რეჟიმები და სატარიფო პოლიტიკა; ჩვენი ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა და მიმდინარე რეფორმები; ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული რეგულაციები/პირობები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა სჭირდებოდეს კერძო სექტორს საქმიანობის განვითარებაში; ქვეყნის ექსპორტ-იმპორტი და საქართველოში განხორციელებული მსხვილი საინვესტიციო პროექტები; მარკეტინგის და გაყიდვების სპეციფიკა; ონლაინ სავაჭრო პლატფორმები; საერთაშორისო გაყიდვებში გლობალური ტენდენციებიდან გამომდინარე, ონლაინ ვაჭრობის და მარკეტინგის ინსტრუმენტები.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი
Microsoft Office PowerPoint	ძალიან კარგი

ენები

ენა ინგლისური	წერიტი უნარები C2	მითყველება C2
------------------	----------------------	------------------

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	თბილისი, თამარ ჭოველიძის 10ა
საკონტაქტო ტელეფონები	2991016 2991107
საკონტაქტო პირი	თეა რუსიტაშვილი

დამატებითი მოთხოვნები

პირი, კომერციული ატაშეს თანამდებობაზე უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, ფლობდეს ქართულ ენას და უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

უმაღლესი განათლება შემდეგ სფეროებში:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები
- ბიზნესის ადმინისტრირება
- საერთაშორისო ვაჭრობა
- საერთაშორისო ურთიერთობები
- საერთაშორისო ფინანსები, ინვესტიციები და ფინანსური პორტფელების მართვა
- საერთაშორისო სამართალი
- მარკეტინგი

გამოცდილება:

ა) არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება კერძო სექტორში: საერთაშორისო ვაჭრობის ან ინვესტიციების მიმართულებით ან საფინანსო სექტორში. ასევე, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

ან/და

ბ) არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება საჯარო სტრუქტურაში საერთაშორისო ეკონომიკური მიმართულებით. ასევე, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

უნარ-ჩვევები:

- ეფექტური კომუნიკაციის და ანგარიშგების უნარები (წერიტი და ვერბალური), მათ შორის განაცხადში მითითებულ უცხო ენაზე (ენებზე);
- პრიორიტეტების ცვლილების შესაბამისად მოქნილობისა და სწრაფი ადაპტაციის უნარი;
- პრეზენტაციის მომზადებისა და ეფექტურად წარდგენის უნარი;
- დაგეგმვისა და ორგანიზების მაღალი კულტურა;
- ლიდერის პიროვნული თვისებები/ლიდერული უნარ-ჩვევები.

დამატებითი ინფორმაცია

შერჩევის პროცესი გაიმართება რამდენიმე ეტაპად:

1. განაცხადების მიღება და გადარჩევა;
2. წერიტი დავალების შესრულება (ქართულ და უცხო ენებზე);
3. პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა (ქართულ და უცხო ენებზე);
4. გასაუბრება (ქართულ და უცხო ენებზე);
5. შესაბამისი სპეციფიკური ტრენინგების წარმატებით გავლა.

განაცხადი შესაძლებელია გაკეთდეს მხოლოდ ერთ ადგილსამყოფელ ქვეყანაზე. ორ ან მეტ ადგილსამყოფელ ქვეყანაზე გაკეთებული განაცხადი არ განიხილება.

სავალდებულოა მითითებული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლების განაცხადთან ერთად ატვირთვა. ამ დოკუმენტაციის გარეშე, განაცხადი არ განიხილება.

აუცილებელია კანდიდატმა შეავსოს სამოტივაციო წერილის გრაფა, სადაც ნათლად იქნება წარმოჩენილი კანდიდატის დასაბუთება, თუ რატომ სურს კონკრეტულ პოზიციაზე მუშაობის დაწყება და რატომ მიიჩნევს, რომ მისი კანდიდატურა შეესაბამება აღნიშნულ ვაკანსიას.

აუცილებელია, კანდიდატმა რეკომენდატორების გრაფაში მიუთითოს მინიმუმ 2 რეკომენდატორის სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა და საკონტაქტო ინფორმაცია.

დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კომერციული ატაშეს ანაზღაურება იქნება \$5800-დან \$7100-მდე.

გადანწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

გადანწყვეტილება მიიღება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. შუალედური გადანწყვეტილებები მიიღება ყოველი საკონკურსო ეტაპის (მათ შორის სწავლების) შემდეგაც. შერჩევის პროცესი (მათ შორის, სწავლების ჩატვლითაც) გაიმართება 3 თვის განმავლობაში.